საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.:(0413 27 57 97, Fax.:(0413 275211
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

№ 119 21 მაისი 2018 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 17 მაისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსულ სამართლებრივ დასკვნაზე (სარეგისტრაციო №102) - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დღის წესრიგის შესაბამისად განხილულ იქნა საკითხი - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 წლის 17 მაისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან შემოსულ სამართლებრივ დასკვნაზე (სარეგისტრაციო №102) - სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ადმისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 106[1] მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილის, 106[2] მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 106[5] მუხლის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2018 წლის 21 მაისის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულ იქნეს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოება პროექტზე - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობაში სტაჟირების გავლის წესისს და პირობების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიოტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №11 დადგენილების ძალდაკარგულად გამოცხადების შესახებ.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ცნობა - ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
3. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიღებულ იქნეს 2018 წლის 18 ივნისამდე.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრების წარდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 30 მაისამდე.
5. დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობაში სტაჟირების გავლის წესისს და პირობების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიოტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მარტის №11 დადგენილების ძალდაკარგულად გამოცხადების შესახებ” გადაეცეს განსახილველად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას.
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს – ზურაბი აფაქიძეს და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი - ვეფხვია რუსია.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: კახაბერი რუსია